ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. ... ...

უკანასკნელი გაკვეთილი

პაზარა ელზასელის ნაამბობი

ალფონს დოდე

იმ დილით სკოლაში წასვლა დამიგვიანდა და შიშმა შემიპყრო, რომ დამტუქსავდნენ, მით უმეტეს, რომ ბატონმა ამელმა გვითხრა მიმოეობებზე გამოგკითხავთო, რაც მე სრულიად არ ვიცოდი. აზრმა გამიელვა, გაკვეთილი გამეცდინა და მინდვრებისაკენ გამეხავარდნა.

ისეთი თბილი ამინდი იყო, ისეთი ნათელი დღე!

ტყის პირთან შაშვების სტვენა ისმოდა, რიპერტის მდელოზე, ხე-ტყის ქარხნის უკან, გერმანელები ვარჯიშობდნენ. ყველაფერი ეს უფრო მიტყუებდა, ვიდრე მიმღეობის წესები; მაგრამ მე ამ სურვილს გავუძაგრდი და სასწრაფოდ სკოლისაკენ გავეშურე.

მერიას რომ ჩავუარე, აფიშების პატარა ბადესთან შეჩერებული ხალხი დავინახე. ორი წელიწადია, რაც ყველა ცუდი ამბავი ამ ადგილიდან მოდის: წაგებული ბრძოლები, კომენდატურის ბრძანებები; არ შევჩერებულვარ, ისე გავიფიქრე:

კიდევ რა მოხდა მეთქი?

მოედანზე რომ მივრბოდი, მაშინ მჭედელმა ვაშტერმა, რომელიც თავის შეგირდთან ერთად განცხადებას კითხულობდა, დამიძახა:

— პატარავ, ძალიან ნუ მიიჩქარი; იქ, შენს სკოლაში, მაინც არ დაგაგვიანდება!

მეგონა, დამცინის მეთქი, და მძიმე ქლოშინით შევედი ბატონ ამელის პატარა ეზოში.

ჩვეულებრივად, გაკვეთილის დაწყების წინ, დიდი ხმაურობა ატყდებოდა ხოლმე, რაც ქუჩამდე აღწევდა, საწიგნეებს აღებდნენ — ხურავდნენ, გაკვეთილებს ყველა ერთად ხმამაღლა იმეორებდა, ყურს თითებით იცობდნენ, რომ სწავლაში ხელი არ შეშლოდათ. მასწავლებლის მსხვილი სახაზავის მაგიდებზე რახუნი ისმოდა:

ცოტა დაჩუმდითო!

ამ ხმაურობით ვფიქრობდი მესარგებლა, რომ შეუმჩნევლად ჩემს სკამთან მივსულიყავი; მაგრამ სწორედ ამ დღეს სრული სიწყნარე იყო, როგორც კვირა-დილით. ღია ფანჯრიდან, შე ვხედავდი უკვე თავ-თავის ადგილას ჩამწკრივებულ ამხანაგებს, ბატონ ამელს, რომელიც აქეთ-იქით დადიოდა და ხელში რკინის საშინელი სახაზავი ეჭირა. კარი უნდა გამეღო და ამ ღრმა სიჩუმეში შევსულიყავი. წარმოიდგინეთ, რა რიგად ვიყავი გაწითლებული და რა შიშსა ვგრძნობდი!

მაგრამ, არა. ბატონმა ამელმა გაუბრაზებლად შემომხედა და ძალიან მშვიდად მითხრა:

— შენს ადგილას გასწი მალე, ჩემო პატარა ფრან; გაკვეთილს უშენოდ ვიწყებდით.

სკამს გადავაბიჯე და მაშინვე ჩემს საწიგნეს მივუჯექი. როდესაც ოდნავ შიშს თავი დავაღწიე, მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ მასწავლებელს ეცვა მშვენიერი მწვანე სერთუკი, ნაზი, დანაოჭებული ჟაბო*) და შავი აბრეშუმის მოქარგული შარვალი; ბატონი ამელი ასე მხოლოდ სკოლის დათვალიერებისა ან საჩუქრების დარიგების დღეებში მოირთვებოდა. მთელ კლასს რაღაცა არაჩვეულებრივი და საზეიმო ელფერი ჰქონდა. მაგრამ ყველაზე უფრო იმან გამაკვირვა, რომ დარბაზის სიღრმეში, ჩვეულებრივად ცარიელ სკამებზე, დავინახე სოფლელები, ისინი ჩვენსავით წყნარად ისხდნენ, სამკუთხა ქუდიანი მოხუცი ოზე, ყოფილი მერი, ყოფილი ფოსტალიონი და მერე კიდევ სხვა პირები. ყველას მოწყენა ეტყობოდა, ოზეს კიდეებშემოჭმული, ძველი ანაბანა მოეტანა, თავის მუხლებზე გადაეშალა და გარდი-გარდმო წიგნის გვერდებზე დიდი სათვალე დაედო.

იმ დროს, როდესაც ყველაფერი ეს მაოცებდა, ბატონი ამელი კათედრაზე ავიდა და იმავე მშვიდი, დინჯი ხმით, როგორც მე დამელაპარაკა, გვითხრა:

— ჩემო ბავშვებო, დღეს უკანასკნელად გაძლევთ გაკვეთილს. ბერლინიდან ბრძანება მოვიდა, ელზასისა და ლორენის სკოლებში სწავლა მხოლოდ გერმანულ ენაზე უნდა სწარმოებდესო... ახალი მასწავლებელი ხვალ ჩამოდის. დღეს ფრანგულ ენაზე უკანასკნელი გაკვეთილი გაქვთ, გთხოვთ ყურადღებით მომისმინოთ.

ამ რამდენიმე სიტყვამ თავზარი დამცა. ეჰ! უბედურები, . აი თურმე რა გამოუცხადებიათ შერიაში.

ფრანგულ ენაზე უკანასკნელი გაკვეთილი!

მე კი წერა ძლივს ვიცოდი! მაშ აწ ,ვერასოდეს ვერ ვისწავლი! მაშ ასე უნდა დავრჩენილიყავი! როგორ ვუსაყვედურებდი თავს ბუდეების ძებნაში ან საარზე სრიალში დაკარგული დროისა და გაცდენილი გაკვეთილების გამო! ჩემი წიგნები, რომლებიც ჯერ კიდევ ერთი წუთის წინ მოსაწყენად და მძიმედ მიმაჩნდა, გრამატიკა, ისტორია, ახლა ძველ მეგობრებად მეჩვენებოდა, და მათი დაშორება დიდ მწუხარებას მაგრძნობინებდა, როგორც ბატონი ამელის წასვლა. ფიქრი იმაზე, რომ მასწავლებელი გაემგზავრებოდა, მას ვეღარ ვნახავდი, მავიწყებდა სასჯელებს, სახაზავის დარტყმებს.

საწყალი ადამიანი!

ამ უკანასკნელი გაკვეთილის პატივსაცემად ჩაეცვა მას თავისი მშვენიერი საკვირაო ტანისამოსი, და ახლა მივხვდი, დარბაზის ბოლოში დასაჯდომად სოფლის მოხუცები რატომ მოსულიყვნენ. თითქოს ამით სინანულს გამოხატავდნენ, რომ აქ, ამ სკოლაში, უფრო ხშირად არ მოდიოდნენ. აგრეთვე თითქოს ამით მადლობას უძღვნიდნენ ჩვენს მასწავლებელს ორმოცი წლის მანძილზე კარგი მუშაობისათვის და მოვალეობას იხდიდნენ სამშობლოს წინაშე, რომელიც ეკარგებოდათ.

ამ ფიქრებში ვიყავი გართული, როდესაც ჩემი გვარი გავიგონე. გაკვეთილი უნდა მეპასუხნა. რას არ მივსცემდი, რომ თავიდან ბოლომდე შემძლებოდა მიმღეობის ყბადაღებული წესის თქმა, ხმამაღლა, ძალიან გარკვევით და უშეცდომოდ; მაგრამ პასუხი პირველი სიტყვებიდანვე შემეშალა; ფეხზე ვიდექი, ჩემს სკამთან ვქანაობდი, გულდამძიმებული, თავის აწევას ვერა ვბედავდი. ვუსმენდი ბატონ ამელს, რომელიც მეუბნებოდა:

— მე არ გაგლანძღავ შენ, ჩემო პატარა ფრან, შენ საკმაოდ დასჯილი უნდა იყო... აი რა ხდება. ყოველდღე თავს ეუბნებიან: მაშ ასე! მე დრო კიდევ მაქვს. ზვალ ვისწავლი. და მერე შენ ხედავ, რაც ხდება... ეჰ! აი ეს იყო ჩვენი ელზასის დიდი უბედურება — სწავლის ყოველთვის სახვალიოდ გადადება. ახლა იმ ხალხს უფლება აქვს გვითხრას: როგორ! თქვენ აცხადებთ, რომ ფრანგები ხართ, თქვენ კი არ იცით არც ფრანგული ლაპარაკი და არც წერა!.. ყოველივე ამაში, ჩემო საბრალო ფრან, ყველაზე უფრო დამნაშავე კიდევ შენ არა ხარ. ჩვენც, ყველას, კარგი საყვედური გვეკუთვნის.

თქვენი მშობლებიც დიდ მნიშვნელობას არ აძლევდნენ თქვენს განათლებას. ისინი ამჯობინებდნენ მიწის დასამუშავებლად, ან საროავ სახელოსნოში გაგზავნეთ იმისათვის, რომ რამდენიმე სუ მეტი ჰქონოდათ. თვითონ მე განა თავის სასაყვედურო არაფერი მაქვს? განა ხშირად მე ჩემს ბაღს თქვენ არ გარწყვევინებდით იმის მაგივრად, რომ გემეცადინათ? და როდესაც კალმახებზე სათევზაოდ წასვლა მსურდა, განა მე ვერიდებოდი იმას, რომ თქვენ შინ გამეშვით?...

მერე ბატონმა ამელმა ერთ ამბავს მეორე გადააბა და ფრანგული ენის შესახებ დაგვიწყო ლაპარაკი, იგი მსოფლიოს უმშვენიერესი ენა არისო. ყველაზე უფრო ნათელი, ყველაზე უფრო დარბაისლური. საჭიროა, ჩვენი დედაენა დავიცვათ, არასოდეს არ დავივიწყოთ, რადგან, როდესაც ხალხი მონობაში ჩავარდება, სანამ ის თავის ენას კარგად ინახავს, ეს იგივეა, რომ თავის საპატიმროს გასაღები მას ხელში ეჭიროსო...**).

შემდეგ მასწავლებელმა გრამატიკა აიღო და გაკვეთილი წაგვიკითხა. გაკვირვებული ვიყავი, რომ ვხედავდი, როგორ მესმოდა ყველაფერი. რასაც ის ამბობდა, ადვილად, ადვილად მეჩვენებოდა. მე ვფიქრობ აგრეთვე, რომ ასე კარგად ყური არასოდეს არ დამიგდია, არც მასწავლებელს არასოდეს ახსნის დროს ამდენი მოთმინება არ გამოუჩენია. კაცი იტყოდა, რომ საწყალ ადამიანს თავის წასვლამდე სურდა მთელი თავისი ცოდნა ჩვენთვის გადმოეცა, მხოლოდ ერთი დარტყმით ჩაეტვედა ჩვენს თავში.

გრამატიკას რომ მოვრჩით, წერაზე გადავედით. ამ დღისათვის ბატონ ამელს მოემზადებინა სრულიად ახალი მაგალითები, სადაც მშვენიერი მრგვალი ასოებით ეწერა France, Alsace, France, Alsace*** ეს თითქოს პატარა დროშები იყო, რომლებიც, ჩვენი საწიგნეების რკინის ჩხირზე ჩამოკიდებულნი, მთელი კლასის გარშემო ფრიალებდნენ. უნდა გენახათ, როგორ ბეჯითობას იჩენდა თვითეული ჩვენგანი და რა სიჩუმე იყო. არაფერი ისმოდა ქაღალდზე კალმების წრიპინის გარდა. ერთ წამს ხეტები შემოფრინდნენ; მაგრამ არავის ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია, არც სულ პატარებს, რომლებიც გულმოდგინედ, მოხდომებულად თავიანთ ჯოხებს ხაზავდნენ, თითქოს ესეც ფრანგული ენა ყოფილიყოს. სკოლის სახურავზე სულ წყნარად მტრედები ღუღუნებდნენ, მათ ყურს ვუგდებდი და ჩემთვის ვამბობდი:

— განა მათაც არ აიძულებენ გერმანულად მღერას?

დროგამოშვებით, ქაღალდს თვალს რომ მოვაცილებდი, კათედრაზე უძრავად მდგარ ბატონ ამელს ვხედავდი, თავის გარშემო საგნებს აკვირდებოდა, თითქოს სურდა თვალებში ჩარჩენოდა სკოლის შთელი პატარა შენობა... წარმოიდგინეთ! ორმოცი წლის მანძილზე ის იყო იქ, ერთსა და იმავე ადგილას, ძას პირდაპირ ეზო ჰქონდა და ეს უცვლელი კლასი, მხოლოდ სკამები და საწიგნეები ხმარებისაგან გახეხილი და გაპრიალებული იყო. ეზოში კაკლის ხეები გაზრდილიყო და სვია, რომელიც თვითონ მან დარგა, გირლანდებად მოჰფენოდა ფანჯრებს სახურავამდე.

რა უბედურება უნდა ყოფილიყო ამ საბრალო ადამიანისათვის ყველაფერი ამის მიტოვება, მას ესმოდა, თუ როგორ დარბოდა მისი და ზემო აართულში აქეთ-იქით, ზანდუკების კეტვაში გართული! ისინი ხვალ უნდა გამგზავრებულიყვნენ, ეს მხარე სამუდამოდ უნდა დაეტოვებინათ. მასწავლებელს მაინც ეყო მხნეობა, გაკვეთილები ბოლომდე ჩაეტარებინა. წერის შემდეგ ისტორიის გაკვეთილი გვქონდა; მერე პატარებმა, ყველამ, ერთად „ბა ბე ბი ბო ბუ“ იმღერეს. იქ დარბაზის სიღრმეში, მოხუც ოზეს სათვალე გაეკეთებინა, ორივე ხელით ანბანა ეჭირა, დამარცვლით ჰკითხულობდა ბავშვებთან ერთად. ისიც ბეჯითობას იჩენდა, აღელვებისაგან ხმა უკანკალებდა, და მისი მოსმენა ისეთი სასეირო იყო, რომ ჩვენ სიცილისა და ტირილის სურვილმა აგვიტაცა. ეჰ! ამ უკანასკნელ გაკვეთილს მე ვერ დავივიწყებ.

მოულოდნელად საყდრის საათმა შუადღე დარეკა, მერე ლ,ანჟელუსი****). უეცრად ჩვენს ფანჯარასთან ვარჯიშობიდან მომავალი გერმანელების ნაღარის ხმა გაისმა... ბატონი ამელი თავის კათედრაზე წამოდგა, სრულიად გაფითრებული, იგი ასეთი დიდი არასოდეს არ მომჩვენებია.

— ჩემო მეგობრებო, — სთქვა მან, — ჩემო მეგობრებო, მე... მე...

მაგრამ მას რაღაცა სულს უხუთავდა, წინადადების დამთავრება ვერ შესძლო.

მაშინ დაფისაკენ მიბრუნდა, ცარცის ნატეხი აიღო, მთელი თავისი ძალით დააწვა მას და, როგორც კი შეეძლო, მსხვილად დასწერა: „გაუმარჯოს საფრანგეთს!“

მერე დარჩა ის იქ, კედელზე თავმიყრდნობილი, დამუნჯებული, ხელით გვანიშნებდა:

— დასრულდა... წადით.

თარგმანი ფრანგულიდან

იროდიონ ქავჭარაძისა.

*) ჟაბო — ნაოჭებიანი საყელო და გულისპირი.

**) „თუ ის თავის ენას ინახავს, — მას ხელთ აქვს გასაღები, რომელიც მას ბორკილებიდან დაიხსნის“. ფ. მისტრალი.

***) საფრანგეთი, ელზასი, საფრანგეთი, ელზასი.

****) ლ. ანჟელუსი (ანგელოზი) — ლოცვა, რომელიც ამ სიტყვით იწყება და რომელსაც წარმოსთქვამენ დილით, შუადღისას და საღამოს. ამ დროისთვის ზარს რეკენ, აუწყებენ ხალხს, რომ ეს ლოცვა იწყება.

უნგრელი ხალხი იბრძვის გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ

მთელი ისტორიის მანძილზე უნგრული კლასიკური ლიტერატურის ლეიტმოტივი იყო ბრძოლა ეროვნული დამონების წინააღმდეგ. ამ ლიტერატურაში ნათლად სჩანს უნგრელთა სიძულვილი გერმანელებისადმი, რომლებიც სისტემატურად ცდილობდნენ უნგრეთის დამოუკიდებლობის მოსპობას. ამ იდეური შინაარსით სუნთქავდა და სუნთქავს უნგრეთის მთელი მხატვრული ლიტერატურა.

პეტეფის ლექსები გამსჭვალულია გერმანელებისადმი სიძულვილით. ყოველმა უნგრელმა ზეპირად იცის ამ პოეტის ლექსები.

თეატრების რეპერტუარებიდან არ შეიძლება ამოღებულ იქნას კლასიკური დრამა „ბანკ ბანი“. ეს ნაწარმოები გაჟღენთილია ღრმა პატრიოტიზმით. ამ პიესაში ნიღაბახდილია უნგრეთის ეხლანდელ დამპყრობთა წინაპრების საქმიანობა. ასი წელიწადი იქნება, რაც ეს პიესა შეტანილია ბუდაპეშტის ნაციონალური თეატრისა და პროვინციული თეატრების რეპერტუარში. იგი განუწყვეტლივ იდგმება ამ თეატრებში.

ბუდაპეშტის პოლიცია უკანასკნელ ხანებში რამდენჯერმე შეეცადა აკრძალა მე-18 და მე-19 საუკუნეების კლასიკოსების ჩიოკანაის, კელჩეის, კერეშმარტის, პეტეფის, ტომპას და სხვათა ნაწარმოებების საჯარო შესრულება. ასევე ცდილობდა პოლიცია მე-20 საუკუნის საუკეთესო უნგრელი პოეტის ადის ლექსების აკრძალვას. მსახიობები, რომელთაც რეპერტუარში აღნიშნული პოეტების ლექსები ჰქონდათ შეტანილი, საჯაროდ ვერ გამოდიოდნენ. მაგრამ ხალხმა ზეპირად იცოდა აკრძალული ლექსები. ერთმანეთს ჩურჩულით გადასცემდნენ ამ ლექსების სტრიქონებს, და ეს უფრო დიდ გავლენას ახდენდა ხალხზე, ვიდრე მათი სცენიდან წარმოთქმა.

უნგრეთის ახლანდელი მთავრობა, რომელიც არსებითად მხოლოდ გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლების აღმსრულებელი ორგანოა, ცდილობს აღმოფხვრას უნგრელ ხალხში თავისუფლების სიყვარული და შეანელოს სიძულვილი გერმანელებისადმი. ეს მოსახლეობის მეტის-მეტ აღშფოთებას იწვევს.

ამას წინად დიდი აურზაური ატყდა მსახიობ ციტა სელეკაიას გარშემო. ეს ახალგაზრდა, მეტად პოპულარული უნგრელი მსახიობი ქალი მიწვეულ იქნა გერმანიაში საკონცერტო ტურნეზე. ციტა სელეკაიამ უარი განაცხადა ტურნეზე, რისთვისაც მას აუკრძალეს სცენაზე გამოსვლა ექვსი თვის განმავლობაში.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უნგრელ საზოგადოებაზე ახალგაზრდა მხატვრის დერკოვიჩის სიკვდილმა. ექიმებმა დაადასტურეს, რომ დერკოვიჩი შიმშილისაგან გარდაიცვალა. ამის შემდეგ გავრცელდა ხმა მეტად ნიჭიერი პოეტის ატილა იოჟეფის თვითმკვლელობის შესახებ. ყველამ იცოდა, რომ იოჟეფი გულწრფელი დემოკრატი და გერმანელთა დაუძინებელი მტერი იყო.

ამ ფაქტებს ერთმანეთს უფარდებენ და ნიჭიერი ახალგაზრდა მხატვრებისა და მწერლების უდროოდ დაღუპვაში ხალხი ბრალს სდებს გერმანელ ფაშისტებსა და მათს უნგრელ ლაქიებს.

უნგრეთში პროგრესიული იდეებით აშკარად გამოსვლა შეუძლებელია. მაგრამ თავისუფლების სულის აღმოფხვრა მაინც შეუძლებელი ხდება. იგი განდევნილი ბეჭდვითი სიტყვისა და თეატრების ნაცვლად ცოცხლდება ოხუნჯობასა და ანეკდოტში. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ესტრადას, რომელსაც დიდი ტრადიცია აქვს უნგრეთში. საესტრადო ჟანრი გადაიქცა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ჟანრად. ყოველ საღამოს ჰქმნიან პატარა სატირულ სცენებს, ორაზროვან და გადაკრულ თქმებს და ამ გზით აღვივებენ ხალხში სიძულვილს მოძალადეებისადმი.

ესტრადაზე წინაღამით ნათქვამ მოსწრებულ ოხუნჯობას მეორე დღეს პარიკმახერი ყურში ჩასჩურჩულებს თავის კლიენტს, მის შესახებ ლაპარაკობს კელნერი, როცა იგი „ყავის ერზაცს“ სთავაზობს სტუმარს, გაზეთის გამყიდველი, როცა იგი გაზეთს აწვდის მყიდველს. მათხოვარიც კი ცდილობს გამვლელთა ყურადღება მიიპყროს ახალი ანეკდოტისა ან ოხუნჯობის საშუალებით. ყოველი ასეთი ოხუნჯობა ჰიტლერელთა წინააღმდეგ არის მიმართული.

ასეა გამოყენებული მხატვრული სიტყვა უნგრეთში იმ ბრძოლაში, რომელსაც ყოველდღიურად აწარმოებს უნგრელი ხალხი ფაშისტ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტი. ცხენოსანი მზვერავები.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

რუსეთის პირველი სამამულო ომი და მასში მონაწილე ქართველები

ტრიფონ რუხაძე

ამხანაგმა სტალინმა ამწლის 7 ნოემბერს წითელი არმიის პარადზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში თანამედროვე საბჭოთა სამამულო ომზე სთქვა: „დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების—ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე!“

დიდი რუსი ხალხის ამ ისტორიული გმირების თანატოლნი და ზოგჯერაც თანამებრძოლნი ქართველ ხალხს ძალიან ბევრი გამოუზრდია. ჩვენი მხედრები და მხედართმთავრები არა ერთხელ დასმარებიან მომძლერეს ხალხს სამართლიან ომებში.

იმ ქართველთა და გამოჩენილ პირთა რიცხვი, რომელთაც თავი ისახელეს პირველ სამამულო ომში, დღემდე მიკვლეული მასალით 60-ს აღწევს. მასში შედიან ამ პერიოდის ცნობილი ქართველი მწერლები, რომელთაც არა მარტო მონაწილეობა მიიღეს აღნიშნულ ომებში, არამედ კიდევაც ასახეს თავიანთ შემოქმედებაში ეს ომი. აი ეს მწერლები: დავით რეტმორი ალექსიშვილი (1745 წ.—1824 წ.) მეფე გიორგი მეცამეტის შვილი დავით (1767 წ.—1819 წ.) იმავე მეფის შვილი ბაგრატ (1776 წ.—1841 წ.), გრიგოლ იოანესძე ბაგრატიონი (1789 წ.—1830 წ.), გიორგი ავალიშვილი (1769 წ.—1850 წ.), დიმიტრი ბაგრატიონი (1746 წ.—1826 წ.), პეტრე ლარაძე (გარდაიცვალა 1837 წელს), ნიკო გიორგის-ძე დადიანი (გარდაიცვალა 1834 წ.), იოანე ბაზლიძე (მწერალი 18-19-ს. ს.), ივანე მურადიშვილი, ანონიმი პოეტი და სხვანი.

მათ დაგვიტოვეს ძვირფასი ცნობები რუსეთის პირველ სამამულო ომზე და მასში მონაწილე ქართველებზე. ამ მასალაში ყურადღების გარეშე არ არის დატოვებული პირველი სამამულო ომის არც ერთი მოვლენა. აქ თვით „პალიჩნიეც“ კი არის მოხსენებული:

„ვიტღენშტეინი,—ამბობს ბაგრატ ბატონიშვილი,—იბრძოდა „პეტერბურგის აპალჩენიითა“ (იხ. მისი წიგნი „მასალები“, გვ. 108) „აპალჩენიის“ ერთ-ერთმა მოთავემ,—განაგრძობს ბაგრატი,—მოსკოვის ახლოს ტარუტინოსთან ნაპოლეონის სიძეს მიურატს დაუწვა „ტყვია-წამალი სრულიად თოფხანისა“, რითაც ხელი შეუწყო კუტუზოვს ამ ადგილებიდან განედევნა მტერი“ (გვ. 111).

ცნობილია, რომ ნაპოლეონის ჯარმა თავდაპირველად მოიპოვა დროებითი გამარჯვება რუსეთზე: 1812 წლის 2 სექტემბერს მან დაიჭირა მოსკოვი. ეს ძმიმე დანაკლისი რუსი ხალხისა თვით ქართველობამაც იგრძნო. ამაზე დასწერა პოეტმა პეტრე ლარაძემ თავისი ელეგია „ვაი მოსკოვსა წვათ მდებარესა შვიდას წელს ტრფობით ნაგებარსა“ (დაბეჭდილია ანთოლოგიაში, ტ. 2, 1928 წ.). ცრემლით ჰგოდებს პოეტი:

„ეჰა ვითარსა დროსა მწარესა
შევესწარო ცრემლით სამგლოვარესა,
ცას ვხედავ რისხვით დამქუხარესა,
სრულ ჩრდილოს კერძოს მაძრწუნარესა,
ვინ არ იგლოვდეს სიმწუხარესა...“

პოეტი ეკითხება თანამემამულეებს: „დედაქალაქი მტერთ ხელს ჩავარდეს?“ არა, ეს არ იქნება, რადგან „მრავალნი მხნედ ლომგულქველნი“ და

„ხვალ თვისი საქმე სხვას ემხილება
ბედკეთილობის ხის დაჩრდილება.
ქედმაღლობამ ჰყოს დაფურცვლილება“.

პეტრე ლარაძეს გაუმართლდა ეს სიტყვები: ვეღარ გაუძლო ნაპოლეონმა რუსეთს: 9 ოქტომბერს ფრანგებმა დასტოვეს მოსკოვი, კუტუზოვის არმია სასტიკად სდევნის ფრანგებს და თვით პარიზშიც შედის, ამას ორი სიტყვით ხატავს ისტორიკოსი და პოეტი ნიკო დადიანი: „ბონაპარტე ძლიერებითა განსაკვირველითა განსდევნეს რუსეთიდან და უკანით შეუდგა თვისის უძლეველის მხედრობითა ხელმწიფე იმპერატორი ალექსანდრე პირველი, შეჰყვა პარისამდე, აღიღო პარისი და თვით ბონაპარტე შეიპყრო და ესლრეთ საუკუნოდ სახსოვრად და სამაგალითოდ გაიმარჯვა და სძლია მტერთა ძლიერებით საკვირველითა“ („ისტორია“: Описание ტ. I. გვ. 46).

კომიკურად დაუხატავს ნაპოლეონის დამარცხება პოეტ ივანე მურადიშვილს. მას ამისათვის გამოუყენებია ცნობილი სატირა-პოემა „თაგვებისა და კატის ომი“. დამარცხებულის როლში პოეტს ფრანგთა ჯარი გამოჰყავს და ამბობს:

„დამარცხნენ თაგვნი ერთობ,
როგორც რუსეთს ფრანგთა ჯარი“.
(საქ. მუზეუმი s 303).

რომ ნაპოლეონის დამარცხება გარდაუვალი იყო, ეს ყველა ქართველ მწერალს ჰქონია შეგნებული. ეს იგრძნობა თვით გრიგოლი ბატონიშვილის მიერ გალექსილ მიწერ-მოწერაში. „ნაპოლეონის მეფეღლესთან“ (საქ. მუზ. Н 2130), სადაც ნაპოლეონი სწერს ნეფეღლეს: „და დაღური ცრემლთა სიკუდილისათვის ჩემს“.

დავით რეტმორი—ალექსიშვილი დითირამბებსაც კი მიუძღვნის ალექსანდრე პირველს, რომელმაც, პოეტის რწმენით, დამარცხა ნაპოლეონი:

ჰსდევნა, ეწია მძლავრსა მას ნაპოლეონს,
ეგრე ასლსა ანტესვარ განცხადებულს,
დაჰსცა, შემუსრა ფეხით ქვეშე
დათრგუნვითა,
მიერ ბუდითგან გარდმოაგდო ზეგაითა...
და დაიკვეთა ნაცარ მტვერად ავლებით,
და ევროპას ჰსცა სრულიად განსვენება“.
(საქ. მუზ. s 105).

ქართველი მწერლების ვიწრო ჯგუფს ლოიალური დამოკიდებულება გამოუჩენია ნაპოლეონისადმი. მაგალითად, დრამატური გიორგი ავალიშვილი ამბობს თავის „მოგზაურობაში“, რომ მე საფრანგეთიდან გამოქცეულ პატრს, რომელმაც საკუთარ ძალს შეარქვა ბონაპარტე ნაპოლეონი, ნება არ მივეცი ცუდათ მოეხსენებინა ნაპოლეონი: „არ დავფარე ამისგან გრძნობანი ჩემნი სრულიად მოწინაღმდეგენი კადნერერებისათვის მისისაო“.

კარგად ცნობილია, რომ დავით ბატონიშვილი ნაპოლეონის პირველ გამოჩენისთანავე (1798 წელს) ამეღვანგდა სიმპატიებს ბონაპარტესადმი*).

პირველი სამამულო ომის პერიოდში რუსულიდან ითარგმა ათამდე წიგნი, რომლებიც ამ ომს ასახავენ. აქ მოსჩანს ნაპოლეონი ჯერ გამარჯვებულისა და მერე დამარცხებულის როლში. ერთ-ერთ ამ თხზულებას ჰქვია „ლაშქრობა ნაპოლეონისა რუსეთსა შინა და ლტოლვაი მისი რუსეთით“ (საქ. მუზეუმი 2101, 2221, 2229), რომელიც ბაგრატ ბატონიშვილის დავალებით უთარგმნია იოანე ბაზლიძეს.

როცა ბაგრატმა ეს თარგმანი გადაათვალიერა, დაინახა, რომ მასში მხოლოდ ერთი ქართველია მოხსენებული — პეტრე ბაგრატონი. ბაგრატმა კი იცოდა, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ პირველ სამამულო ომში ძალიან ბევრი ქართველი იღებდა მონაწილეობას, ამიტომ იოანეს თარგმანში ბაგრატს ჩაურთავს ცნობები იმ ქართველებზე, რომელთაც თავი ისახელეს ამ ომში**).

რუსეთის პირველ სამამულო ომში მონაწილე ქართველების შესახებ ცნობები გვხვდება ბაგრატის სხვა შრომებში და აგრეთვე იმ დროის მწერალთა ნაწერებში.

ბაგრატს კარგად ჰქონდა შეგნებული ის აზრი, რომ სამშობლო ქვეყნის გმირთა სახელი საჭიროა „რათა არა დავიწყებულ იყოს“, განსაკუთრებით მათი სახელი, რომლებიც „ფრიად სახელოვნად აღმოჩნდნენ ვითარცა შვენის ქართველთა მამაცობას“.

თავის საისტორიო მოთხრობებში ბაგრატი დიდად აფასებს 1812 წლის სამამულო ომში მონაწილე ქართველებს ასე, მაგალითად, კონსტანტინე ბაგრატიონზე ამბობს, რომ იყო „დიდსა ბრძოლაში ბოროდინას და აღმოჩნდა სახელოვნად“. პეტრე ბაგრატონი დახასიათებულია, როგორც „მრავალსა ადგილსა სახელოვნად ძლევამოსილი“ და „ფრიად მხნედ გამოჩენილი“.

საგაზეთო წერილი საშუალებას არ გვაძლევს დაწვრილებით შევეხოთ პირველ სამამულო ომში მონაწილე ქართველებს. აქ წარმოვადგენთ მხოლოდ მათს სახელობითს სიას. დაცულია მარტო გამოჩენილი მხედრებისა და მხედართმთავრების სია, უბრალო ჯარისკაცების სახელებს, ჩვენამდე საჯაროდ, არ მოუღწევიათ.

აი ეს სია: ამირეჯიბი ასპან ქაიხოსროს-ძე, ბაგრატიონები: პეტრე იოანეს-ძე, პეტრე იაკობის-ძე და რევაზ იოანეს-ძე; ბაზლიძე ალექსი, ბატონიშვილები: გრიგოლ იოანეს-ძე, ვახტანგ ირაკლის-ძე, ილია გიორგის-ძე, კონსტანტინე დავითის-ძე, ბეჟანიშვილი (სახელმოუხსენელი), გაბაშვილი იოსებ, გამსახურდია (ამის სახელი უცნობია), გამყრელიძე ბეჟანი, გედევანიშვილები (ოთხნი), გოგლაშვილი ანდრია, დადიანი, ერისთავი, ვარეჟანი-პეტაშვილი—ერევნელი ქართველი, თარხნიშვილები: იორამ და ნიკოლოზ, თაყაიშვილი ივანე, თულაშვილი, იასაშვილი მელიქ პეტრუსა, იაშვილი ლევან მიხაილის-ძე, იოსელიანი ზაქარია ონისიმეს-ძე, იოსელიანი (სახელმოუხსენელი), კაპანაძე, გრიგოლ, კვანჭახაძე (ორნი), ლალიხანიშვილი ეროოთე შოს-ძე, მაქაცარიძე, მაჩაბელი თეიმურაზ, მურადაშვილები (სამნი), პაპაშვილი ზაალ, სვიმონიკა რაჟეელი, ტუსაშვილი ალექსი, ფანჩულიძენი ივანე და სიმ , დავითის-ძენი, ფეტვიაშვილი ეფანტე ივანეს-ძე, ქართველიშვილი ზაქარია იოსების-ძე, ღაღანიძე რომანოზ, ციციშვილი დიმიტრი, შენგელია, ჩიკორიძე იოსებ, ჩოლოყაშვილი ფლორე დურმიშხანის-ძე, ხმალაძე—ყიზლარელი ქართველი, ჯავახიშვილები: ევსტათი თეიმურაზის-ძე, ივანე სიმონის-ძე, ნიკოლოზ გრიგოლის-ძე, სიმონ სიმონის-ძე და ჯავახიშვილი სფირიდონ.

ბევრი აქ მოხსენებული ქართველი შეტანილია რუსეთის პირველ სამამულო ომის ისტორიაში. ბევრი ამათგანი ამ ომის დროს მედგრად იბრძოდა თვით ევროპის ცენტრალურ ქალაქებში, პარიზსა, ბერლინსა, ჰამბურგში და სხვაგან. მათი სახელები აღუბეჭდიათ თავის დროის ქართველ მწერლებს.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი სამამულო ომის პერიოდის ქართველ პოეტებზე მოუხდენია პეტრე ბაგრატიონს. პირველად ყურადღებას იქცევს უცნობი პოეტის ლექსი „პეტრე ბაგრატიონს (საქ. მუზეუმი s 1534), რომელიც დაწერილი ყოფილა სანელოვანი გმირის სიცოცხლეში. ჩვენი „ლეროი“, როგორც ანონიმი პოეტი ამბობს, უნდა გახდეს მარად სახსოვარი:

„პეტრე ქართველთა დღეს დიდებაო,
სახსოვრად დავდოთ შენი ქებაო“.

ამ ლექსში პეტრე ბაგრატიონი შედარებულია ძველ გმირს სოლომონს და დასახელებულ სუვოროვის თანამოსაგრედ.

„სოლომონი (ვით) ძლიერი ლომი,
მარსის ველზედა ამუამად მდგომი,
სუ(ვ)აროვისა მხნისა შემდგომი
ვინ გვისახელა ჩვენ თვისი ტომი“.

უცნობი პოეტის ლექსი სახვიმო სტილითაა დაწერილი და ამშვენებს რეფრენი „პეტრე, ქართველთა ხარ დიდებაო“.

პეტრე ბაგრატიონს თავის დროის რუსმა პოეტებმაც მიუძღვნეს ლექსები. ამას გულისხმობს პოეტი დიმიტრი ბაგრატიონი (1746 წ.—1826 წ.) როცა ამბობს:

„მეც აღმძრეს შენთა სამკობლად,
ჩრდილოეთ მოშაირეთა“-ო.

1805 წლის 4 ნოემბერს პეტრე ბაგრატიონი 6 ათასი კაცით გაუმკლავდა 30 ათას ფრანგს. ამაზე ამბობს დიმიტრი ბაგრატიონი:

„მცირითა ჰსძლია მრავალთა,
მიიღო სიმხნით დიდება,
იძახდნენ: სჯობსო განტოლეა,
ბაგრატოვანის რიდება“.

ბევრი ბრძოლა ჩაატარა პეტრე ბაგრატიონმა ავსტრია-საფრანგეთში. ამაზე სწერს პოეტი ბეგლარ ორბელიანი: პეტრემ

„პარიეელთა დასცა სისხლის ფონები,
გასწყვიტა მამაცურად ძალის მომიდარი“.

ყველაზე მკვეთრად ქართველმა მწერლებმა აღბეჭდეს პეტრე ბაგრატიონის ბრძოლა